



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №12/29



2017 წლის 27 აპრილი

ქალაქი ფოთი

**მერების შეთანხმებაზე კლიმატისა და ენერგეტიკისათვის მიერთებასთან
დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე**

მერების შეთანხმება არის ევროკავშირის ფართომასშტაბიანი ინიციატივა, იგი აერთიანებს ადგილობრივ და რეგიონალურ მთავრობებს, რომლებიც ნებაყოფლობით იღებენ ვალდებულებას გაზარდონ ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენება მათ დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიებზე. შეთანხმების ხელმომწერი მიზნად ისახავენ 2020 წლისათვის შეამცირონ CO₂-ის ემისიები მინიმუმ 20%-ით და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ მწვანე ეკოლოგიურად ორიენტირებული ეკონომიკის განვითარებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის.

2008 წელს ევროკავშირის კლიმატისა და ენერგო პაკეტის მიღების შემდეგ ევროკომისიის ინიციატივით შეიქმნა მერების შეთანხმება რათა წახალისებინა და დახმარება გაეწია ადგილობრივი ხელისუფლებებისთვის ენერგეტიკის მდგრადი პოლიტიკის განხორციელებაში. ადგილობრივი მთავრობები მართლაც გადამწყვეტ როლს თამაშობენ კლიმატის ცვლილების შემცირებაში, რადგან ქალაქებზე ენერჯის მოხმარებისა და CO₂-ის ემისიის 80% მოდის.

დაკისრებული ვალდებულებების კონკრეტულ ღონისძიებებსა და პროექტებში გარდასახვისთვის, შეთანხმების ხელმომწერი, იწყებენ ნახშირორჟანგის გაფრქვევების საბაზისო კადასტრის მომზადებას (რასაც წინ უსწრებს ადგილობრივი მდგრადი ენერგეტიკული პოლიტიკის ჩამოყალიბება და შესაბამისი ინსტიტუციონალურ/მმართველობითი უნარების შექმნა) და შეთანხმებაზე ხელმოწერიდან ერთი წლის განმავლობაში წარადგენენ მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმას, რომელშიც ასახული იქნება მათ მიერ განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები. ენერჯის დაზოგვის გარდა, ხელმომწერები შემდეგ სახის შედეგებსაც აღწევენ: სუფთა და ფინანსურად ხელმისაწვდომი ენერჯით სარგებლობის საშუალება, კვალიფიციური და სტაბილური სამუშაო ადგილების შექმნა, ფინანსური და სოციალური სტაბილურობის ზრდა, ჯანსაღი გარემოსა და უკეთესი საცხოვრებელი პირობების ჩამოყალიბება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გაზრდა, გაუმჯობესებული კომუნალური მომსახურება და ინფრასტრუქტურა. ეს ღონისძიებები სხვებისათვის სამაგალითოს წარმოადგენენ და ე.წ. „წარმატებული გამოცდილების“ მონაცემთა ბაზაში არიან თავმოყრილი. ინფორმაციის უნიკალური წყაროა მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმების კატალოგიც, რადგან იქ თვალის ერთი გადავლევით შეგვიძლია, წარმოადგენა შევიქმნათ ხელმომწერი სხვა ქალაქების მიერ დასახული ამბიციური ამოცანებისა და მათ მისაღწევად არჩეული ძირითადი გზების შესახებ. მართალია, შეთანხმებაზე ხელის მოწერის პოლიტიკურ ნებას სულ უფრო მეტი მუნიციპალიტეტი გამოთქვამს, ზოგ მათგანს ყოველთვის შეიძლება არ ჰქონდეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის საჭირო პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ფინანსური და ტექნიკური რესურსები. ამიტომ შეთანხმების ფარგლებში საგანგებო სტატუსი მიენიჭა ისეთ სახელმწიფო ადმინისტრაციებსა და სამთავრობო ქსელებს, რომლებსაც შეუძლიათ ხელის მოწერი ქალაქების დახმარება მათი ამბიციური მიზნების მიღწევაში.

ადგილობრივი მთავრობების ქსელები და ასოციაციები, რომლებიც ცნობილი არიან, როგორც შეთანხმების მხარდამჭერები, პასუხისმგებლობას იღებენ, მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ინიციატივის განხორციელებას სტიმულირებით, თავიანთ წევრებთან დაკავშირებითა და გამოცდილების გაზიარებით.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, მერების შეთანხმებაზე მიერთებით იღებს ვალდებულებას:

- 2030 წლისათვის, მინიმუმ 30%-ით შეამციროს CO₂-ის (და სხვა სათბურის გაზების) ემისია საკუთარ ტერიტორიაზე ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებასა და ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენების გაზრდით;
 - კლიმატის ცვლილების შედეგებთან შეგუებით აამაღლოს მუნიციპალიტეტის მედეგობა.
- ხსენებული ვალდებულებების შესასრულებლად ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი თანმიმდევრულად განახორციელებს შემდეგს:
- მოახდენს საბაზისო ემისიების ინვენტარიზაციას და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკებისა და მოწყვლადობის შეფასებას;
 - საკრებულოს გადაწყვეტილების მიღებიდან ორი წლის ვადაში წარადგენს მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმას და კლიმატის ცვლილების შერბილებისა და შეგუების (საადაპტაციო) ღონისძიებებს ასახავს შესაბამის ადგილობრივი პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტებში თუ გეგმებში;
 - მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის წარდგენიდან ყოველ ორ წელიწადში, პროცესის მიმდინარეობის შეფასების, ზედამხედველობისა და შემოწმების მიზნით წარადგენს შუალედურ ანგარიშს;
 - გაუზიარებს ხედვას, მიღწევებს, ცოდნასა და გამოცდილებას ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების სხვა ორგანოების წარმომადგენლებს, ევროკავშირისა თუ მის ფარგლებს გარეთ, ინფორმაციის გაცვლისა და პირდაპირი თანამშრომლობის გზით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი მიუერთდეს მერების შეთანხმებას კლიმატისა და ენერგეტიკისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა (ირაკლი კაკულია) მერების შეთანხმებაზე კლიმატისა და ენერგეტიკისათვის მიერთებასთან დაკავშირებით გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

2. მიეცეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს უფლებამოსილება აღნიშნულ განკარგულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესრულებასთან დაკავშირებით ხელი მოაწეროს ყველა დოკუმენტაციას და გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

მუხლი 2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია 2017 წლის 27 აპრილიდან.